

რედაქცია  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური  
31.05.07

ირაკლი კობახიძე

**ძირითადი უფლებები**  
**კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები**  
**კაზუსის ამოხსნის ნიმუშები**

თბილისი  
2007

წინამდებარე ბროშურა, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის. იგი შეიცავს კაზუსის ამოხსნის ორ ზოგად სქემას. პირველი მათგანი ეხება თავისუფლების, ხოლო მეორე – თანასწორობის ძირითად უფლებებს. ამასთან, ბროშურა მკითხველს სთავაზობს კაზუსის ამოხსნის ორ ნიმუშს. გამოეთქვამთ იმედს, რომ პუბლიკაცია გარკვეულ წვლილს შეიტანს ძირითად უფლებათა თეორიის განვითარებაში, რომელიც საქართველოში დღეისათვის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე იმყოფება.

**ირაკლი კობახიძე**

*სამართლის დოქტორი (Dr. iur.), სამართლის მაგისტრი (LL.M.)*

*ოე. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

© ირაკლი კობახიძე

© გამომცემლობა „მინიატურა“

ISBN 978-99940-867-4-0

ძირითადი თავისუფლებები: კაზუსის განხილვის ზოგადი სქემა

**შესავალი წინადადება:**

ნებისმიერი კაზუსის განხილვას ვიწყებთ შესავალი წინადადებით:  
„ძირითადი უფლება ირღვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლება ახორციელებს გაუმართლებელ ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“.

სასურველია ზემოთ მოცემული სტანდარტული ფორმულირების ადაპტირება კონკრეტული კაზუსის მოცემულობაზე.

**მაგალითი:** (1) საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი ირღვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლება ახორციელებს გაუმართლებელ ჩარევას პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში; (2) შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების შეზღუდვა არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველ პუნქტს, თუ აღნიშნული აქტი განხორციელებულია საჯარო ხელისუფლების მიერ და თუ ეს აქტი წარმოადგენს გაუმართლებელ ჩარევას ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

**შენიშვნა:** ნორმის ციტირებისას აუცილებელია არა მხოლოდ მუხლის, არამედ კონკრეტული პუნქტის მითითებაც. ამასთან, თუ კონსტიტუციის რომელიმე მუხლის რომელიმე პუნქტი ერთდროულად განამტკიცებს რამდენიმე ძირითად უფლებას, საჭიროა დავაკონკრეტოთ, რომელ ძირითად უფლებაზე გვსურს ყურადღების გამახვილება. ამისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინი: „ალტერნატივა“.

**მაგალითი:**

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი შემდეგი სახითაა ფორმულირებული: „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება“. ამ შემთხვევაში, აღმსარებლობის თავისუფლება წარმოადგენს მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-4 ალტერნატივას (მ. 19, პ. 1, ალტ. 4).

**I. დაცული სფერო**

**დაცული სფეროს ზოგადი დეფინიცია:** დაცულ სფეროს წარმოადგენს ის საქმიანობა, თავისუფლება (ვიწრო გაგებით – მ. 18) ან სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც იცავს ესა თუ ის ძირითადი უფლება.

კაზუსის განხილვის პირველ საფეხურზე უნდა დავადგინოთ, **გაიხსნა** თუ არა რომელიმე ძირითადი უფლებით დაცული სფერო:

დაცული სფერო გახსნილია, როდესაც კაზუსის მოცემულობაში აღწერილი პრობლემური აქტი ეხება რომელიმე ძირითადი უფლების დაცვის საგანს და ამავე ძირითადი უფლებით დაცულ პირს.

### 1.1. ძირითადი უფლების დაცვის საგანი

კაზუსის ამოხსნის ამ საფეხურზე უნდა დავადგინოთ, ეხება თუ არა საჯარო ხელისუფლების შესაბამისი აქტი რომელიმე ძირითადი უფლების დაცვის საგანს. თუ კაზუსის მოცემულობა შეიცავს პირდაპირ მინიშნებას რომელიმე კონკრეტულ ძირითად უფლებაზე (მაგ. მოცემულობაში დასმულია კითხვა, არღვევს თუ არა კაზუსში აღწერილი აქტი ადამიანის ღირსების ძირითად უფლებას), განვიხილავთ მხოლოდ აღნიშნული ძირითადი უფლების შესაძლო დარღვევის საკითხს. თუ კაზუსის მოცემულობა არ შეიცავს ამგვარ მინიშნებას, კაზუსის ამომხსნელმა თავად უნდა განსაზღვროს ის ძირითადი უფლება (უფლებები), რომლის (რომელთა) დაცვის საგანსაც შეიძლება ეხებოდეს კაზუსში აღწერილი აქტი.

დაცვის საგანზე მსჯელობისას, მაქსიმალურად უნდა გამოვავლინოთ ჩვენს მიერ მიღებული თეორიული ცოდნა; დაწვრილებით და ამომწურავად უნდა განვმარტოთ, რატომ ეხება პრობლემური აქტი შესაბამისი ძირითადი უფლების დაცვის საგანს.

#### *ძირითად უფლებათა კონკურენცია:*

კაზუსში აღწერილი პრობლემური აქტი შეიძლება ეხებოდეს ერთდროულად რამდენიმე ძირითად უფლებას. ასეთ შემთხვევაში, დაცვის საგანზე მსჯელობისას, უნდა განვიხილოთ ძირითად უფლებათა კონკურენციის საკითხი:

(1) თავდაპირველად უნდა გავიაზროთ ყველა ის ძირითადი უფლება, რომლის დაცვის საგანსაც შეიძლება ეხებოდეს კაზუსის მოცემულობაში აღწერილი პრობლემური აქტი;

(2) როდესაც სახეზეა რამდენიმე ძირითადი უფლების დარღვევის შესაძლებლობა, განვიხილოთ უნდა დავიწყოთ შედარებით სპეციალური ხასიათის ძირითადი უფლებით (მაგალითი: როდესაც ინდივიდს უზღუდავენ რელიგიური შინაარსის შემცველი აზრის გამოთქმის თავისუფლებას, თავდაპირველად განვიხილავთ, დაირღვა თუ არა რელიგიის თავისუფლების ძირითადი უფლება და მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილავთ აზრის

თავისუფლების შეზღუდვის საკითხს – რადგან, ამ შემთხვევაში, რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს სპეციალურ ძირითად უფლებას აზრის თავისუფლების მიმართ);

(3) სპეციალური ძირითადი უფლების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, შედარებით ზოგადი ხასიათის ძირითადი უფლების დარღვევის საკითხს საერთოდ აღარ განვიხილავთ;

(4) საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების ძირითად უფლებას განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ შეინიშნება კაზუსში აღწერილი პრობლემური აქტის შეხება რომელიმე სპეციალური ძირითადი უფლებით დაცულ სფეროსთან ან არ დგინდება ჩარევა რომელიმე სპეციალური ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში;

(5) თუ პრობლემური აქტი ეხება რამდენიმე ძირითადი უფლების დაცვის საგანს და არცერთი მათგანი არ წარმოადგენს შედარებით სპეციალურ ძირითად უფლებას სხვა ძირითადი უფლებების მიმართ, კაზუსის ამოხსნისას ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეული ძირითადი უფლების შესაძლო დარღვევის საკითხს;

(6) გარდა ამისა, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ თავისუფლებისა და თანასწორობის ძირითადი უფლებები. თავდაპირველად უნდა განვიხილოთ თანასწორობის ძირითადი უფლების შესაძლო დარღვევის საკითხი. ასეთ დროს, თავისუფლების ძირითად უფლებებს, როგორც წესი, განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ დასტურდება თანასწორობის ძირითადი უფლების დარღვევა.

## 1.2 ძირითადი უფლებით დაცული პირი

კაზუსის ამოხსნის ამ ეტაპზე უნდა განვიხილოთ, წარმოადგენს თუ არა პირი, რომლის ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტსაც განვიხილავთ, შესაბამისი ძირითადი უფლების მფლობელ სუბიექტს. ამისათვის –

(1) თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ, თუ ზოგადად ვის იცავს მოცემული ძირითადი უფლება და ამის შემდეგ –

(2) დაუადგინოთ, ხდება თუ არა აღნიშნული პირი ძირითადი უფლებით დაცულ პირთა წრეში.

ძირითადი უფლებით დაცული პირის განსაზღვრისას:

(1) პირველ რიგში, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ადამიანის ძირითადი უფლებები და საქართველოს მოქალაქის ძირითადი უფლებები, აგრეთვე ძირითადი უფლებები, რომლებიც მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე ვრცელდება (მაგ. პოლიტიკური თავშესაფრის ძირითადი უფლება);

(2) უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძირითადი უფლებებით სარგებლობენ „ეროვნული“ იურიდიული პირები (საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი). გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც, მათი შინაარსის გათვალისწინებით, მხოლოდ ფიზიკურ პირს მიესადაგება (მაგ. სიცოცხლის უფლება, ღირსების უფლება და ა.შ.).

**შენიშვნა:** კაზუსის ამოხსნისას, მოცემულ პრობლემას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევეხებით, თუ იურიდიული პირის ძირითადი უფლების შესაძლო დარღვევის საკითხს განვიხილავთ;

(3) უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძირითადი უფლებების მფლობელებს, როგორც წესი, არ წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

**გამონაკლისი:** 1. ძირითადი უფლებებით სარგებლობენ რელიგიური ორგანიზაციები, თუნდაც ისინი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოღვაწეობდნენ; 2. საზოგადოებრივ ტელე და რადიომაუწყებლებზე ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების ძირითადი უფლება; 3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სარგებლობენ განათლებისა და მეცნიერების თავისუფლების ძირითადი უფლებებით; 4. ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება ვრცელდება კულტურის სფეროში მოღვაწე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე.

**შენიშვნა:** კაზუსის ამოხსნისას, მოცემულ პრობლემას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევეხებით, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი უფლების შესაძლო დარღვევის საკითხს განვიხილავთ;

(4) უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძირითადი უფლებებით, როგორც წესი, არ სარგებლობენ საჯარო ხელისუფლების მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (სს, შპს და ა.შ.) დაფუძნებული ორგანიზაციები, რომლებიც საჯარო ფუნქციებს ახორციელებენ. მათზე ვრცელდება მხოლოდ საპროცესო ძირითადი უფლებები;

(5) უნდა ვიცოდეთ, ვრცელდება თუ არა ცალკეული ძირითადი უფლებები ჩანასახზე და გარდაცვლილ პირზე.

**დაცული სფეროს განხილვის საფუძველზე გამოგვაქვს ერთ-ერთი შემდეგი შუალედური დასკვნა:**

1. კაზუსის მოცემულობაში აღწერილი პრობლემური აქტი არ ეხება არცერთი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს (ასეთ შემთხვევაში, უარყოფით ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტს და ვწყვეტთ კაზუსის განხილვას);

2. კაზუსის მოცემულობაში აღწერილი პრობლემური აქტი ეხება ძირითადი უფლების დაცვის საგანს და შესაბამისი ძირითადი უფლებით დაცულ პირს (ასეთ შემთხვევაში, ვადგენთ, რომ ძირითადი უფლებით დაცული სფერო გაიხსნა და ვაგრძელებთ კაზუსის განხილვას).

## II. ჩარევა დაცულ სფეროში

ჩარევის ზოგადი დეფინიცია: ჩარევას წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ნებისმიერი უზენაესი აქტი, რომელიც ზღუდავს ძირითადი უფლებით დაცულ საქმიანობას, თავისუფლებას ან სამართლებრივ სიკეთეს. ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ფაქტის დასადგენად, უნდა განვიხილოთ –

(1) განხორციელდა თუ არა კახუისის მოცემულობაში აღწერილი პრობლემური აქტი საჯარო ხელისუფლების მიერ და

(2) ზღუდავს თუ არა აღნიშნული აქტი ძირითადი უფლებით დაცულ საქმიანობას, თავისუფლებას ან სამართლებრივ სიკეთეს.

### 2.1. საჯარო ხელისუფლების აქტი

ძირითადი უფლებებით შეზღუდულ სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ხელისუფლება. ძირითადი უფლებებით შეზღუდულია ხელისუფლების სამივე განმტოება.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

(1) ძირითადი უფლებებით შეზღუდული არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც;

(2) ძირითადი უფლებებით შეზღუდული არიან საჯარო ხელისუფლების მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული ორგანიზაციები, რომლებიც საჯარო ფუნქციებს ასორციელებენ (მაგალითი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქტით დაფუძნებული შპს, რომელიც შექმნილია ადგილობრივი მოსახლეობისთვის კომუნალური მომსახურების (წყალმომარაგება, ნაგვის გატანა და სხვ.) გაწევის მიზნით);

(3) სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისას, საჯარო ხელისუფლება, როგორც წესი, არ არის შეზღუდული ძირითადი უფლებებით. გამონაკლისს წარმოადგენს თანასწორობის ძირითადი უფლებები, რომლებიც საჯარო ხელისუფლებას და კერძო პირებს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებზეც ვრცელდება;

(4) ძირითადი უფლებები, როგორც წესი, არ ვრცელდება კერძო პირთა შორის ურთიერთობებზე. თუმცა, სასამართლოები, კერძო პირთა შორის დადების განხილვისას, ვალდებული არიან გაითვალისწინონ კონსტიტუციით დადგენილი ძირითადი უფლებების მოთხოვნები. შესაბამისად, ძირითად უფლებებს გააჩნია არაპირდაპირი მოქმედების ძალა კერძო პირთა შორის ურთიერთობებზე (მაგალითი: კერძო პირი ზღუდავს სხვა კერძო პირის საკუთრებას. სასამართლო,

საქმის განხილვისას, არ ითვალისწინებს ან არასწორად განმარტავს საკუთრების ძირითადი უფლების შინაარსს და შესაბამისად, უსამართლოდ უარყოფს საკუთრების შეზღუდვის ფაქტს. დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაირღვა (მისი) საკუთრების ძირითადი უფლება).

## 2.2. შეზღუდვა

ამ ეტაპზე უნდა განვიხილოთ, ზღუდავს თუ არა საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტი ძირითადი უფლებით დაცულ საქმიანობას, თავისუფლებას ან სამართლებრივ სიკეთეს. მსჯელობისას, პოზიცია რაც შეიძლება ამომწურავად და ლოგიკურად უნდა იყოს დასაბუთებული.

კაზუსის განხილვის ამ საფეხურზე გამოგვაქვს ერთ-ერთი შემდეგი შუალედური დასკვნა:

1. კაზუსის მოცემულობაში აღწერილი პრობლემური აქტი არ განხორციელებულა საჯარო ხელისუფლების მიერ ან/და ეს მოქმედება არ ზღუდავს ძირითადი უფლებით დაცულ საქმიანობას, თავისუფლებას ან სამართლებრივ სიკეთეს (ასეთ შემთხვევაში, უარყოფთ ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტს და ვწყვეტთ კაზუსის განხილვას);

2. პრობლემური აქტი განხორციელდა საჯარო ხელისუფლების მიერ და ეს მოქმედება ზღუდავს ძირითადი უფლებით დაცულ საქმიანობას, თავისუფლებას ან სამართლებრივ სიკეთეს (ასეთ შემთხვევაში ვადგენთ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ფაქტს და ვაგრძელებთ კაზუსის განხილვას).

## III. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში არღვევს ძირითად უფლებას, თუ იგი არ ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას.

ჩარევა გამართლებულია, თუ იგი ეფუძნება ძირითადი უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს და ეს ზღვარი საჯარო ხელისუფლების მიერ მართლზომიერად იქნა შეფარდებული.

### 3.1. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი

გამართლების პირველ წინაპირობას წარმოადგენს ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძელის – ძირითადი უფლების ზღვრის არსებობა. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ზღვრის შემდეგი სახეები:



1. კანონის კვალიფიციური დათქმა – ამ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის მუხლი, რომელიც განამტკიცებს შესაბამის ძირითად უფლებას, მოითხოვს, რომ (1) ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონით ან კანონის საფუძველზე და ამასთან, (2) კანონი, რომლის ძალითაც ან რომლის საფუძველზეც ხორციელდება ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, განსაზღვრულ სიტუაციებს უნდა დაეყრდნოს, განსაზღვრულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ან მან განსაზღვრული საშუალებები უნდა გამოიყენოს (მაგ. მ. 22 პ. 3: „ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის (...) მიზნით“);

2. სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა – ამ შემთხვევაში, ძირითადი უფლების განმამტკიცებელი მუხლი ადგენს, რომ ჩარევა ძირითად უფლებაში მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ძალით შეიძლება განხორციელდეს (მაგ. მ. 18, პ. 2: „თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე“);

3. ჩარევის კვალიფიციური დათქმა – ამ შემთხვევაში, შესაბამისი ძირითადი უფლების განმამტკიცებელი მუხლი ზოგადი სახით უშვებს ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის შესაძლებლობას და ამავდროულად მოუთითებს ჩარევის კონკრეტულ საფუძველზე ან მიზანზე (მაგ. მ. 19 პ. 3: „დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“);

4. უშუალო კონსტიტუციური ზღვარი – ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით დადგენილი ზღვარი არ საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას მიმდინარე კანონმდებლობით ან სხვა საჯარო აქტებით. უშუალო კონსტიტუციური ზღვრის მაგალითის შეიცავს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი: „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია...“

5. შიდაკონსტიტუციური ზღვარი – შიდაკონსტიტუციური ზღვარი არის ე.წ. დაუწერელი ზღვარი, რომელიც გულისხმობს, რომ ნებისმიერი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს კოლიზიური კონსტიტუციური უფლების, ინტერესის ან სიკეთის დაცვის მიზნით (მაგალითი: პირის გარკვეული გადასახადით დაბეგერის გამართლების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს კოლიზიური კონსტიტუციური ინტერესი – სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში შეიძლება განხორციელდეს, აგრეთვე, სხვა პირის ძირითად-უფლებრივი პოზიციების დაცვის მიზნით და ა.შ.). გამოწაკლის წარმოადგენს ადამიანის ღირსების ძირითადი უფლება, რომლის დაცულ სფეროში ჩარევა არასოდეს ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას – შე-

საბაძისად, ღირსების ძირითად უფლებას კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი საერთოდ არ გააჩნია.

#### შენიშვნა:

(1) ერთსა და იმავე ძირითად უფლებას ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ზღვარი შეიძლება ქონდეს დაწესებული;

(2) გარდა ამისა, ზოგიერთი ზღვარი თავის თავში ზღვრის სხვადასხვა სახეებისთვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიძლება აერთიანებდეს. მაგალითი: 26-ე მუხლის მე-1 პუნქტი („საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“) წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლების კონსტიტუციურ ზღვარს – (ორგანული) კანონის და სასამართლო გადაწყვეტილების დათქმას;

(3) შიდაკონსტიტუციური ზღვარი შეიძლება მოქმედებდეს იმ ძირითადი უფლებების მიმართაც, რომელთაც დაწერილი ზღვარი აქვს დაწესებული (მაგალითი: 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები შეიცავს ორ სხვადასხვა „დაწერილ“ ზღვარს. თუმცა, აღნიშნული პუნქტები ეხება ჩარევის მხოლოდ განსაზღვრულ საფუძველს: საკუთრების ჩამორთმევას და შეზღუდვას აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. შესაბამისად, საკუთრების უფლების შეზღუდვა რაიმე სხვა საფუძველით შიდაკონსტიტუციურ ზღვარზე დაყრდნობით შეიძლება განხორციელდეს).

#### ტექნიკური ხასიათის მითითება:

თუ ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში არ ეფუძნება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს, გადგენთ ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტს და ეწვევით კანონის განხილვას.

### 3.2. ზღვრის ზღვარი

ძირითადი უფლების ზღვრის დადგენის შემდეგ, უნდა განვიხილოთ, ხომ არ აქვს დაწესებული, თავის მხრივ, რაიმე ზღვარი ძირითადი უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს (ზღვრის ზღვარი).

ძირითად უფლებათა თეორია განასხვავებს ზღვრის ზღვრის შემდეგ სახეებს:

#### 1. ნორმატიული კონსტიტუციური ზღვრის ზღვარი:

ა) ზღვრის ზღვარს წარმოადგენს კანონის კვალიფიციური დათქმის და ჩარევის კვალიფიციური დათქმის კვალიფიციური ელემენტები (მაგ. მ. 19, პ. 3:

„დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს” – ნებისმიერი ჩარევა მე-19 მუხლით განმტკიცებული ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში, რომელიც არ ემსახურება სხვათა უფლებების დაცვას, არღვევს აღნიშნულ ნორმატიულ ზღვრის ზღვარს);

ბ) ზღვრის ზღვარს წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა კანონით ან აღმასრულებელი ხელისუფლების აქტით განხორციელებული ჩარევებისთვის (მაგ. მ 18, პ. 2: „თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე” – ნებისმიერი ჩარევა, რომელიც არ ეფუძნება სასამართლოს გადაწყვეტილებას, არღვევს აღნიშნულ ნორმატიულ ზღვრის ზღვარს);

გ) ზღვრის ზღვარი ძირითადი უფლების განმამტკიცებელ მუხლში სპეციალური პუნქტით შეიძლება იყოს დადგენილი. მაგალითი: ცენზურის აკრძალვა წარმოადგენს ზღვრის ზღვარს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების ძირითადი უფლებისთვის (მ. 24, პ. 2); სიკვდილით დასჯის აკრძალვა წარმოადგენს ზღვრის ზღვარს სიცოცხლის ძირითადი უფლებისთვის (მ. 15, პ. 2); ეჭვმიტანილის დაკავების და ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადის დამდგენი ნორმები (მ. 18, პ. 6) წარმოადგენს ზღვრის ზღვარს ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებისთვის და ა.შ.

2. ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ნებისმიერი ჩარევის განხილვისას, აქტუალობით სარგებლობს პროპორციულობის (ზომიერების) პრინციპი. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ:

ა. ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს.

შენიშვნა: აუცილებელი არ არის, კონსტიტუციის ტექსტი შეიცავდეს მკაფიო მინიშნებას ამა თუ იმ მიზნის ლეგიტიმურობის თაობაზე. მაგ. საკუთრების ძირითადი უფლება შეიძლება შეიზღუდოს ისეთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, როგორცაა ცხოველთა დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია ცხოველთა ინტერესების დაცვას სახელმწიფოს მიზნად გარკვევით არ აცხადებს;

ბ. ჩარევა უნდა იყოს გამოსადეგი დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად; აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულადაა შესაძლებელი;

გ. ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად; ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შედარებით რბილი საშუალება, რომელიც, მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, ისეთივე ეფექტურ შედეგს მოგვცემდა;

დ. ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (ვიწრო გაგებით

პროპორციული); კაზუსის განხილვის ამ საფეხურზე წარმოებს ჩარევით შეზღუდულ და დაცულ სიკეთეთა ორმხრივი შედარება (აწონ-დაწონვა).

**ტექნიკური ხასიათის მითითება:** პროპორციულობის პრინციპის განხილვის თითოეულ საფეხურზე თავდაპირველად უნდა განიმარტოს პრინციპის თითოეული ასპექტის ზოგადი არსი და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა ჩარევა მის ცალკეულ პუნქტებს.

3. ზღვრის ზღვრის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს **განსაზღვრულობის პრინციპი**. აღნიშნული პრინციპის თანახმად, საჯარო ხელისუფლების აქტის შინაარსი მკაფიოდ და ნათლად განსაზღვრული, ჩარევის შედეგი კი იოლად განჭვრეტადი უნდა იყოს.

**ტექნიკური ხასიათის მითითება:**

*თუ დავადგენთ, რომ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ეწინააღმდეგება ზომიერების პრინციპის რომელიმე მოთხოვნას, განსაზღვრულობის პრინციპს ან შესაბამისი ძირითადი უფლების სხვა ზღვრის ზღვარს, ვადგენთ, რომ ძირითადი უფლება დაირღვა.*

**კაზუსის განხილვის საფუძველზე, გამოგვაქვს ერთ-ერთი შემდეგი საბოლოო დასკვნა:**

1. საჯარო ხელისუფლების აქტი არ ეხება არცერთი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს (შესაბამისად, უარყოფთ ძირითადი უფლების დარღვევას);

2. საჯარო ხელისუფლების აქტი, მართალია, ეხება განსაზღვრული ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს, მაგრამ ეს აქტი არ წარმოადგენს ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (ამდენად, უარყოფთ ძირითადი უფლების დარღვევას);

3. საჯარო ხელისუფლების აქტი წარმოადგენს ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, მაგრამ იგი ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას (შესაბამისად, უარყოფთ ძირითადი უფლების დარღვევას);

④ საჯარო ხელისუფლების მოქმედება წარმოადგენს ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და იგი არ ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას (ასეთ დროს, ვადგენთ, რომ ძირითადი უფლება დაირღვა).

## კახუსის ამოხსნის ნიშეში

### კახუსის მოცემულობა:

კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულმა რელიგიურმა გაერთიანებამ – „ქართველ მუსულმანთა კავშირმა“ ააშენა მეჩეთი თბილისში, საბურთალოს რაიონის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ უბანში. მეჩეთის მინარეთიდან მუეძინი ყოველდღიურად, გამთენიისას ასრულებს ტრადიციულ რელიგიურ რიტუალს – ხმამაღალი ყვირილით მოუწოდებს მუსულმან მორწმუნეებს მეჩეთში ლოცვისკენ. მუეძინის ყვირილით შეწუხებული არიან უბნის არამუსულმანი მოსახლეები. მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქის მერიის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას, მოსთხოვოს მუეძინს აღნიშნული რელიგიური რიტუალის დაბალ ხმაზე შესრულება. რელიგიური გაერთიანება „ქართველ მუსულმანთა კავშირი“ მიიჩნევს, რომ მერიის სამსახურის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლს და არღვევს მისი, როგორც რელიგიური გაერთიანების, ძირითად უფლებას. ამასთან, გაერთიანება ქალაქის მერიას მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის ცენტრალურ უბნებში ეკლესიების სამრეკლოებიდან არანაკლებ დაბალ ხმაზე რეკენ ზარები. არის თუ არა დასაბუთებული გაერთიანების პრეტენზია?

### კახუსის ამოხსნა:

ძირითადი უფლება ირღვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლება ახორციელებს გაუმართლებელ ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

I. თავდაპირველად უნდა დადგინდეს, მერიის გადაწყვეტილების საფუძველზე გაიხსნა თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით განმტკიცებული რომელიმე ძირითადი უფლებით დაცული სფერო.

დაცული სფერო არის ცხოვრების ის სფერო ან ასპექტი, ან ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც დაცულია ამა თუ იმ ძირითადი უფლებით. ძირითადი უფლებით დაცული სფერო განსწავლავს, თუ მერიის გადაწყვეტილება ეხება რომელიმე ძირითადი უფლების დაცვის საგანს და შესაბამისი ძირითადი უფლებით დაცულ პირს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის დაცვის საგანს წარმოადგენს სიტყვის, აზრის, რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლებები. მერიის მოცემული გადაწყვეტილება ეხება აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლების დაცვის საგანს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-4 ალტერნატივა იცავს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი აღმ-

სარებლობის თავისუფლებას. ძირითადი უფლებით დაცულია რელიგიური მოტივითა და მოსაზრებებით ნაკარნახევი ნებისმიერი მოქმედება, პირის უფლება, იცხოვროს, იმოქმედოს და თავისი საქმიანობა წარმართოს რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესაბამისად (*forum externum*). მოცემული ძირითადი უფლებით დაცული სფერო მოიცავს პირის ისეთ საქმიანობას, როგორცაა რწმენის სხვადასხვა საშუალებით გავრცელება, რელიგიური რიტუალების შესრულება და ა.შ. კახუსის მოცემულიდან ჩანს, რომ ქ. თბილისის მერიის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურმა მუდხინს აუკრძალა რელიგიური რიტუალის მაღალ ხმაზე შესრულება. შესაბამისად, ამკარაა, რომ მერიის სამსახურის მოცემული აქტი ენება აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლების დაცვის საგანს.

შემდგომ, უნდა გაირკვეს, ენება თუ არა მერიის სამსახურის აქტი აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ პირს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, “ყოველ ადამიანს” აქვს აღმსარებლობის თავისუფლება. შესაბამისად, აღმსარებლობის თავისუფლება წარმოადგენს ყოველი ადამიანისთვის გარანტირებულ ძირითად უფლებას. ამასთან, გასარკვევია, შეიძლება თუ არა მოცემული ძირითადი უფლების მფლობელებად განვიხილოთ იურიდიული პირები. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, ძირითადი უფლებები “მათი შინაარსის გათვალისწინებით” ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. აღმსარებლობის თავისუფლება განეკუთვნება ამგვარ ძირითად უფლებათა რიგს – საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-4 ალტერნატივით დაცულია როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური რელიგიის თავისუფლება. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის სამსახურის აქტი ენება აღმსარებლობის ძირითადი უფლებით დაცულ პირს – “ქართველ მუსულმანთა კავშირს”.

იძენად, რამდენადაც მერიის სამსახურის გადაწყვეტილება ენება აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლების დაცვის საგანს და მოცემული ძირითადი უფლებით დაცულ პირს, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-4 ალტერნატივით დაცული სფერო გაიხსნა.

II. შემდგომ, უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა მერიის სამსახურის აქტი ჩარევას აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ნებისმიერი აქტი, რომელიც ზღუდავს იმგვარ საქმიანობას, თავისუფლებას ან სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც დაცულია ძირითადი უფლებით.

თავდაპირველად უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა მერიის სამსახურის გადაწყვეტილება ძირითადი უფლებებით შეზღუდული სუბიექტის აქტს. ძირითადი უფლებებით შეზღუდულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო

ხელისუფლება. გარდა ამისა, ძირითადი უფლებები ზღუდავს საჯარო სამართლის თეორიულ პირებსაც. რამდენადაც თვითმმართველი ქალაქი თბილისი წარმოადგენს საჯარო სამართლის თეორიულ პირს, ქალაქის აღმასრულებელი ორგანოები, მათ შორის მერიის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახური, შეზღუდული არიან ძირითადი უფლებებით. შესაბამისად, მერიის სამსახურის გადაწყვეტილება უნდა განვიხილოთ ძირითადი უფლებებით შეზღუდული სუბიექტის მიერ გამოცემულ აქტად.

ამკარაა, რომ მერიის სამსახურის გადაწყვეტილება „ქართველ მუსულმანთა კავშირს“ პირდაპირი ფორმით უზღუდავს რწმენით ნაკარნახევი საქმიანობის განხორციელების – რელიგიური რიტუალის შესრულების თავისუფლებას.

რამდენადაც ქ. თბილისის მერიის სამსახურის გადაწყვეტილება წარმოადგენს ძირითადი უფლებებით შეზღუდული სუბიექტის აქტს, რომელიც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-4 ალტერნატივით დაცულ საქმიანობას, შევნიშნავთ, რომ ჩარევა აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში განხორციელდა.

III. ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში არღვევს ძირითად უფლებას, თუ იგი არ ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას.

ჩარევა გამართლებულია, თუ იგი ეფუძნება აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს და ეს ზღვარი საჯარო ხელისუფლების მიერ მართლწომიერად იქნა შეფარდებული.

აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლების ზღვარი მოცემულია კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში. აღნიშნული ნორმის თანახმად, დაუშვებელია რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლებათა შეზღუდვა, “თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს”. მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი შეიცავს ძირითადი უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს – ჩარევის კვალიფიციურ დათქმას. იგი დასაშვებად აცხადებს იმგვარ ჩარევას აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, რომელიც “სხვათა უფლებების” დაცვას ემსახურება. ამ შემთხვევაში, მერიის სამსახურის აქტი მიზნად ისახავდა ქალაქის მოსახლეობის ინტერესების დაცვას. შესაბამისად, ჩარევა განხორციელდა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვრის საფუძველზე.

შემდგომ, უნდა დადგინდეს, ხომ არ აქვს დაწესებული ძირითადი უფლების მოცემულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს, თავის მხრივ, ზღვარი.

ზღვრის ზღვარს შეიცავს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდავს დასაშვებად აცხადებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეზღუდვა სხვათა უფლებების დაცვას ემსახურება. მოცემულ შემთხვევაში, მერიის გადაწყვეტილება ემსახურება სწორედ სხვათა – ქალაქის მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების დაცვას. შესაბამისად, მე-19 მუხლის

მე-3 პუნქტით განმტკიცებული ნორმატიული ზღვრის ზღვარი ამ შემთხვევაში დარღვეული არ არის.

დასადგენია, შეესაბამება თუ არა მერიის გადაწყვეტილება პროპორციულობის (ზომიერების) პრინციპს.

პროპორციულობის პრინციპის თანახმად, ჩარევა უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს, უნდა იყოს გამოსადეგი და აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (ვიწრო გაგებით პროპორციული).

მერიის სამსახურის აქტი ემსახურება ქალაქის მოსახლეობის ინტერესების დაცვას. ამგვარ ინტერესებს განეკუთვნება ადამიანების უფლება ხმაურისგან თავისუფალ გარემოზე, აგრეთვე მათი უფლება მშვიდ ძილზე, რომელთა სისტემატურმა დარღვევამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს უზრუნველყოფა სახელმწიფოს ძირითად-უფლებრივ მოვალეობად არის გამოცხადებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ მერიის სამსახურის აქტი ემსახურება ლეგიტიმურ საჯარო მიზანს.

ჩარევა გამოსადეგია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რადგან იგი ხელისუფლებას აძლევს ადამიანებისთვის ხმაურისგან თავისუფალი გარემოს და მათი მშვიდი ძილის უზრუნველყოფის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ შესაძლებლობას.

საკითხავია, არის თუ არა მოცემული ჩარევა აუცილებელი მისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ამის გასარკვევად, უნდა დავადგინოთ, ხომ არ არსებობს რაიმე ნაკლებად რადიკალური, შედარებით რბილი საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, ისეთივე ეფექტურ შედეგს მოგვცემდა. იმდენად, რამდენადაც ძნელი წარმოსადგენია სხვა ნაკლებად რადიკალური ღონისძიება, რომელიც მერიის სამსახურს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ისევე ეფექტურად შეაძლებინებდა, სამსახურის მიერ მუეძინისგან რიტუალის დაბალ ხმაზე შესრულების მოთხოვნა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელ აქტად უნდა განვიხილოთ.

შემდგომ, უნდა დავადგინოთ, არის თუ არა ჩარევა ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (პროპორციული ვიწრო გაგებით). შესაბამისობის დასადგენად უნდა განხორციელდეს მერიის სამსახურის აქტით დაცულ და შეზღუდულ სიკეთეთა და ინტერესთა ორმხრივი აწონ-დაწონვა. ჩარევით დაცული ინტერესი – ადამიანების უფლება მშვიდ ძილზე და ხმაურისგან თავისუფალ გარემოზე უნდა განვიხილოთ შედარებით მნიშვნელოვან სიკეთედ, ვიდრე “ქართველ მუსულმანთა კავშირის” უფლება აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცული საქმიანობის განხორციელებაზე – მუეძინის რიტუალის ჩვეულებრივ ხმაზე შესრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღმსარებლობის თავისუფლება თავისთავად უმნიშვნელო-



ვანეს ძირითად უფლებას წარმოადგენს, ადამიანების უფლებას ხმაურისგან თავისუფალ გარემოზე და მშვიდ ძილზე, მათ ჯანმრთელობაზე (ფსიქიკაზე) მუეძინის რიტუალის არსებითი უარყოფითი ზეგავლენის გათვალისწინებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს. ამასთან, სიკეთეთა ორმხრივი აწონ-დაწონვისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თბილისის მოსახლეობის უმრავლესობას არამუსულმანები შეადგენენ, რომელთათვისაც კულტურული თვალსაზრისით უცნოა მუსულმანთათვის დამახასიათებელი რელიგიური წეს-ჩვეულებები და რიტუალები. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მუეძინის ყვირილი მათ ფსიქიკაზე გაცოილებით უარყოფითად ზემოქმედებს, ვიდრე ზარების რეკვა. შესაბამისად, “ქართველ მუსულმანთა კეშირის” მითითება იმ გარემოებაზე, რომ თბილისის ცენტრალურ უბნებში კულესიების სამრეკლოებიდან არანაკლებ დაბალ ხმაზე რეკენ ზარები, არ წარმოადგენს საკმარის არეუმენტს გაერთიანების ინტერესებისთვის უპირატესობის მისანიჭებლად.

*(ჩარევის შესაბამისობის განხილვის ალტერნატიული ვარიანტი: უნდა დადგინდეს, არის თუ არა ჩარევა ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (ვიწრო გაგებით პროპორციული). შესაბამისობის დასადგენად უნდა განხორციელდეს მერიის სამსახურის აქტით დაცულ და შეზღუდულ სიკეთეთა და ინტერესთა ორმხრივი აწონ-დაწონვა. ჩარევის საფუძველზე შეზღუდული ინტერესი – აღმსარებლობის თავისუფლება უნდა განვიხილოთ შედარებით მნიშვნელოვან სიკეთედ, ვიდრე ჩარევით დაცული ინტერესი – ადამიანების უფლება მშვიდ ძილზე და ხმაურისგან თავისუფალ გარემოზე. აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ უმნიშვნელოვანეს ძირითად უფლებას. ამასთან, კონსტიტუციის მე-14 მუხლი იცავს სხვადასხვა რელიგიის მიძღვართა თანასწორობას კანონის წინაშე. აღნიშნული ნორმა კრძალავს რელიგიური ნიშნით ფიზიკურ და თურბილულ პირთა ყოველგვარ დიფერენციაციას. აქ, პირველ რიგში, უნდა ვავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ თბილისის არაერთ უბანში მოქმედებს კულესიები, რომელთა სამრეკლოებიდანაც არანაკლებ მაღალ ხმაზე რეკენ ზარები. ქლავის ქრისტიანულმა მოსახლეობამ პატივი უნდა სცეს სხვა რელიგიური კონფესიების ტრადიციებს და ინტერესებს და თიშნოს ის დისკომფორტი, რომელსაც ის მუეძინის ყვირილის გამო განიცდის.)*

იძენად, რამდენადაც მერიის სამსახურის აქტი ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, წარმოადგენს გამოსადევ და აუცილებელ საშუალებას ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და არის ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (პროპორციული ვიწრო გაგებით), ჩარევა აღმსარებლობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში არ არღვევს პროპორციულობის პრინციპს.

ამასთან, უნდა დავადგინოთ, შეესაბამება თუ არა მერიის სამსახურის აქტი განსაზღვრულობის პრინციპს. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ჩარევის შინაარსი უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული და არაორაზროვანი, ჩარევის შედეგი კი

ადამიანისთვის მკაფიოდ განჭვრეტადი. ამ შემთხვევაში, მერიის სამსახურმა მკაფიოდ მოუწოდა „ქართულ მუსულმანთა კავშირს“, დაბალ ხმაზე შეესრულებინა რიტუალი. შესაბამისად, ჩარევა არ ეწინააღმდეგება განსაზღვრულობის პრინციპს.

გარემოებათა განხილვის საფუძველზე ვადგენთ, რომ აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცული სფერო გაიხსნა, განხორციელდა ჩარევა დაცულ სფეროში, მაგრამ აღნიშნული ჩარევა ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურის გადაწყვეტილება არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-4 ალტერნატივით დაცულ აღმსარებლობის თავისუფლების ძირითად უფლებას.

თანასწორობის ძირითადი უფლებები:  
კაზუსის განხილვის ზოგადი სქემა

**შესავალი წინადადება**

თანასწორობის ძირითადი უფლება ირღვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლება არათანასწორად ეპყრობა სხვადასხვა პირებს (პირთა ჯგუფებს) და უთანასწორო მოპყრობას არ გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი.

**I. უთანასწორო მოპყრობა**

უთანასწორო მოპყრობის ზოგადი დეფინიცია: საჯარო ხელისუფლება ახორციელებს უთანასწორო მოპყრობას, როდესაც იგი არსებითად თანასწორს უთანასწოროდ, ხოლო არსებითად უთანასწორს თანასწორად ეპყრობა.

1.1. თანასწორობის ძირითადი უფლებებით შეზღუდულ სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ხელისუფლება. შესაბამისად, კაზუსის განხილვისას თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ, განხორციელდა თუ არა კაზუსის მოცულობაში აღწერილი პრობლემური აქტი საჯარო ხელისუფლების მიერ.

1.2. უთანასწორო მოპყრობის დასადგენად, უნდა განვიხილოთ საჯარო ხელისუფლების მოქმედების შემდეგი ასპექტები:

ა) პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ, ზემოქმედებს თუ არა საჯარო ხელისუფლება გარკვეულ პირზე (პირთა წრეზე);

ბ) მეორე საფეხურზე უნდა განვსაზღვროთ, სხვაგვარად ხომ არ ზემოქმედებს ან საერთოდ არ ზემოქმედებს იგივე საჯარო ხელისუფლება სხვა პირზე (პირთა წრეზე);

გ) ბოლოს, უნდა განვსაზღვროთ, არსებობს თუ არა მსგავსება განხილულ პირებს (პირთა წრეებს) და/ან სიტუაციებს შორის. საამისოდ, უნდა დადგინდეს, აღენიშნებათ თუ არა შესადარებელ პირებს და სიტუაციებს საერთო პუნქტი (*tertium comparationis*), ანუ შეიძლება თუ არა ისინი გავეერთიანოთ რაიმე ზემდგომი ცნების (*genus proximum*) ქვეშ.

*სამივე პუნქტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ვადგენთ, რომ საჯარო ხელისუფლება ახორციელებს განხილულ პირთა უთანასწორო მოპყრობას.*

**თანასწორობის ძირითად უფლებათა კონკურენცია:**

როდესაც სახეზეა რამდენიმე თანასწორობის ძირითადი უფლების დარღვევის შესაძლებლობა, განხილვა უნდა დავიწყოთ შედარებით სპეციალური ხასია-

თის თანასწორობის ძირითადი უფლებით. სპეციალური ძირითადი უფლების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, შედარებით ზოგადი ხასიათის ძირითადი უფლების დარღვევის საკითხს საერთოდ აღარ განვიხილავთ (მაგ. თუ დარღვეულია არჩევნების თანასწორობის ძირითადი უფლება, თანასწორობის ზოგადი ძირითადი უფლების (მ. 14) დარღვევის საკითხის განხილვა საჭირო არ არის).

## II. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

უთანასწორო მოპყრობა არ არღვევს თანასწორობის ძირითად უფლებას, თუ მას გააჩნია გამართლებული საფუძველი.

კახუის განხილვის ამ ეტაპზე, თავდაპირველად უნდა დავადგინოთ, რამდენად ინტენსიურია უთანასწორო მოპყრობა. უთანასწორო მოპყრობის ინტენსივობის განსაზღვრა შეგვიძლია შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) რაც უფრო მეტად უახლოვდება საჯარო ხელისუფლების მიერ გამოყენებული დიფერენცირების კრიტერიუმში საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილ დიფერენცირების დაუშვებელ კრიტერიუმებს (რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, რელიგია და ა.შ.), მით უფრო ინტენსიურია უთანასწორო მოპყრობა;

ბ) რაც უფრო ნაკლებად შეუძლია პირს, გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ დიფერენცირების კრიტერიუმზე, მით უფრო ინტენსიურია უთანასწორო მოპყრობა (მაგ. პირთა დიფერენცირების კრიტერიუმს წარმოადგენს სქესი, რისი შეცვლაც ადამიანს მხოლოდ მძიმე სამედიცინო ჩარევის საფუძველზე შეუძლია);

გ) ინტენსიურ უთანასწორო მოპყრობასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაშიც, თუ იგი პირს ხელს უშლის საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი თავისუფლებების რეალიზებაში;

დ) არჩევნების თანასწორობის ძირითადი უფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განვიხილოთ ინტენსიურ უთანასწორო მოპყრობად.

იმგვარი უთანასწორო მოპყრობის გასამართლებლად, რომელიც შედარებით ნაკლები ინტენსივობით ვისაითდება, საკმარისია დავადგინოთ, რომ უთანასწორო მოპყრობას თუნდაც რაიმე გონივრული ლეგიტიმური საფუძველი გააჩნია.

იმგვარი უთანასწორო მოპყრობის გასამართლებლად, რომელიც შედარებით ძლიერი ინტენსივობით ვისაითდება, უნდა განვიხილოთ, შეესაბამება თუ არა

საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტი პროპორციულობის (ზომიერების) პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ:

- ა. ღიფერენცირება უნდა ემსახურებოდეს **ლეგიტიმურ მიზანს**;
- ბ. საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტი უნდა იყოს **გამოსადეგი** ღიფერენცირების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
- გ. უთანასწორო მოპყრობის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს **აუცილებელი** ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
- დ. უთანასწორო მოპყრობა უნდა იყოს მიზნის **შესაბამისი** (ვიწრო გაგებით პროპორციული).

## კაზუსის ამოხსნის ნიმუში

### კაზუსის მოცემულობა:

საქართველოში ტარდება საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას იღებს 20 პოლიტიკური პარტია. აშკარაა, რომ მათგან 7%-იანი საარჩევნო ბარიერის გადალახვის რეალური შანსი მხოლოდ 4 პარტიას – ერთიან რესპუბლიკურ მოძრაობას, „ახალ მემარცხენებს“, დემოკრატიულ პარტიას და აგრარულ პარტიას აქვს. არჩევნებამდე ორი კვირით ადრე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეეთერში ტარდება წინასაარჩევნო დებატები. საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური პროგრამების რედაქტორი დებატებში მონაწილეობის მისაღებად იწვევს მხოლოდ აღნიშნული ოთხი პარტიის ლიდერებს. არჩევნებში მონაწილე ერთ-ერთ პარტიას – ლუდის მოყვარულთა კავშირს მიაჩნია, რომ რედაქტორის მოქმედება არღვევს არჩევნების თანასწორობის ძირითად უფლებას. არის თუ არა დასაბუთებული პარტიის პრეტენზია?

### კაზუსის ამოხსნა:

თანასწორობის ძირითადი უფლება ირღვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლება უთანასწოროდ ეპყრობა სხვადასხვა პირებს და უთანასწორო მოპყრობას არ გააჩნია გამართლებული საფუძველი.

I. თავდაპირველად უნდა დადგინდეს, ზემოქმედებს თუ არა საჯარო ხელისუფლება გარკვეულ პირზე ან პირთა წრეზე.

თანასწორობის ძირითადი უფლებებით შეზღუდულია საჯარო ხელისუფლება. ამასთან, ძირითადი უფლებებით შეზღუდული არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც. იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მისი პროგრამების რედაქტორის მოქმედება უნდა განვიხილოთ ძირითადი უფლებებით შეზღუდული სუბიექტის აქტად.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური პროგრამების რედაქტორის გადაწყვეტილება, ეთერში მოიწვიოს არჩევნებში მონაწილე პარტიების ლიდერები, ზრდის აღნიშნული პარტიების წარმატების შანსებს საპარლამენტო არჩევნებში. შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებელი პრივილეგიების ფორმით ზემოქმედებს დებატებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ 4 პარტიაზე.

შემდგომ, უნდა დადგინდეს, სხვაგვარად ხომ არ შემოქმედებს ან საერთოდ არ შემოქმედებს იგივე ხელისუფლება იმ პარტიაზე, რომელიც აპროტესტებს საჯარო ხელისუფლების მოქმედებას. საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების რედაქტორმა დებატებში მონაწილეობის მისაღებად არ მოიწვია ლუდის მოყვარულთა კავშირის ლიდერი. შესაბამისად, აშკარაა, რომ იგივე საჯარო ხელისუფლება არ შემოქმედებს აღნიშნულ პოლიტიკურ გაერთიანებაზე.

უთანასწორო მოპყრობის დასადგენად უნდა განვსაზღვროთ, არსებობს თუ არა მსგავსება პრივილეგირებულ პარტიებსა და ლუდის მოყვარულთა კავშირს შორის. საამისოდ, უნდა დადგინდეს, აღნიშნებით თუ არა შესადარებელ პირებს და სიტუაციებს საერთო პუნქტი (tertium comparationis), ანუ შეიძლება თუ არა ისინი გავაერთიანოთ რაიმე ზემდგომი ცნების (genus proximum) ქვეშ. როგორც პრივილეგირებული პოლიტიკური გაერთიანებები, ისე ლუდის მოყვარულთა კავშირი წარმოადგენენ პარტიებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საპარლამენტო არჩევნებში. შესაბამისად, შეგვიძლია დავადგინოთ მსგავსება როგორც თავად პოლიტიკურ გაერთიანებებს, ისე სიტუაციებს შორისაც.

გარემოებათა გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჯარო ხელისუფლება უთანასწოროდ ეპყრობა ლუდის მოყვარულთა კავშირს.

II. უთანასწორო მოპყრობა არღვევს არჩევნების თანასწორობის ძირითად უფლებას, თუ მას არ გააჩნია გამართლებული საფუძველი.

არჩევნების თანასწორობის პრინციპის ნებისმიერი შეზღუდვა, თავისი არსით, წარმოადგენს ინტენსიურ უთანასწორო მოპყრობას. შესაბამისად, პროგრამების რედაქტორის მოქმედების გამართლების საკითხი უნდა განვიხილოთ პროპორციულობის (ზომიერების) პრინციპის საფუძველზე.

უთანასწორო მოპყრობა გამართლებულია, თუ დიფერენცირება ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, გამოსადეგი და აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და არის ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (პროპორციული ვიწრო გაგებით).

პარტიების დიფერენცირება ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს. ტელედებატების გონივრული წარმართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ მასში მონაწილეობა არ მიიღოს პარტიების გაუმართლებლად დიდმა რაოდენობამ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტელედებატები ვერ შეასრულებდა საკუთარ ფუნქციას, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ძალებისთვის მიეცა ამომრჩევლისთვის საკუთარი თავის წარდგენის შესაძლებლობა და ქვეყნის მოსახლეობისთვის წარმოდგენა შეექმნა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების შესახებ. ამდენად, დიფერენცირების მიზანი, უზრუნველყოს დებატების გონივრული ფორმატით წარმართვა, უთანასწორო მოპყრობის ლეგიტიმურ მიზნად უნდა განვიხილოთ.

დიფერენცირება წარმოადგენს აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას, რადგან იგი იძლევა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ შესაძლებლობას.

დიფერენცირება არის აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ძნელი წარმოსადგენია შედარებით რბილი, ნაკლებად რადიკალური საშუალება, რომელიც ტელედებატების გონივრული ფორმატის დაცვას ისეთივე წარმატებით უზრუნველყოფდა.

ტელედებატების გონივრული წარმართვის უზრუნველყოფის მიზანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა ლუდის მოყვარულთა კავშირის ინტერესის მიმართ, მონაწილეობა მიიღოს სატელევიზიო დებატებში. აქ უსათუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სატელევიზიო დებატებში არჩევნებში მონაწილე ოცივე პოლიტიკური გაერთიანების ლიდერის მოწვევა პრაქტიკულად შეუძლებელს გახდიდა დებატების გონივრული ფორმით წარმართვას. ტელედებატები კი წარმოადგენს საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც ამომრჩეველს შესაძლებლობას აძლევს, მეტ-ნაკლებად ობიექტური წარმოდგენა შეიქმნას არჩევნებში მონაწილე პარტიების პოლიტიკური პროგრამებისა და პოზიციების შესახებ.

ამგვარად, უთანასწორო მოპყრობა განხორციელდა პროპორციულობის პრინციპის დაცვით. შესაბამისად, მას გააჩნია გამართლებული საფუძველი.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით განმტკიცებული არჩევნების თანასწორობის ძირითადი უფლება დარღვეული არ არის.